

მშობლის ვიზიტების სიხშირის გავლენა შფოთვისა და აკადემიურ
მოსწრებაზე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების
მაგალითზე

ანა სამადაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა სამადაშვილი

17 ივნისი 2018

მადლობა

პროფესორ დარეჯან კახიანს - რომ იყო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. უზრუნველყოფდა უკუკავშირითა და სამუშაო გრაფიკით, რომლის გათვალისწინებითაც შევძელი ნაშრომი სისრულეში მომეყვანა. დოქტორ ანა მაყაშვილს - გაწეული რეკომენდაციების, სტატისტიკური ნაწილის დამუშავებასა და გაანალიზებაში დახმარებისთვის. აკადემიური წერის ლექტორს, ქალბატონ მადონა გიორგაძეს - ნაშრომის სტილისტურად გამართვის უზრუნველსაყოფად გაცემული რჩევებისთვის. სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს, ქალბატონ ეთერ ცხაკაიას. „საქართველოს კარიტასი“-ს, „ჩერნოვეცკის ფონდი“-ს, „საქართველოს SOS სახლები“-ს, „ჩემი სახლი“-ს ხელმძღვანელებს, ლიდერებსა და აღმზრდელებს თანამშრომლობისთვის. ასევე თითოეულ სკოლას, რომელიც მონაცემების შეგროვებაში დამეხმარა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, განსაკუთრებით კი ჩემს კოორდინატორს - თამარ გეთიაშვილს, საორგანიზაციო საკითხების დროულად მოგვარებისთვის. ყველა ჩემს თანამშრომელს, ტრენერს, სამუშაო გრაფიკის ხელშეწყობისთვის. ჩემს მეგობრებს, ჯგუფელებს და თითოეული ოჯახის წევრს (განსაკუთრებით ბებოს - გულშემატკივრობისთვის) იმ პირობების უზრუნველყოფისთვის, რაც მათ ჩემთვის შექმენს. დამსახურებული მადლობა იმ 40 აღსაზრდელს, რომელთაც დაუზარებლად გამოყვეს თავიანთი დრო ჩემი კვლევისთვის. რომ არა ისინი, არ მექნებოდა საშუალება დამეწერა ეს წერილი.

აბსტრაქტი

ფსიქოსოციალური განვითარება ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბავშვები ამ პერიოდში ავითარებენ თავიანთ შესაძლებლობებს, ეცნობიან სხვადასხვა სიახლეებს, რაც დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. სირთულეები მოზარდებში ასევე ასოცირებულია პუბერტატის პერიოდთან, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მათ შფოთვით მაჩვენებელზე, აკადემიური მოსწრების ხარისხზე და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საკითხი, რომელიც ეხება მშობლის ვიზიტების სიხშირის გავლენას შფოთვასა და აკადემიურ მოსწრებაზე თბილისის სხვადასხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების მაგალითზე. ნაშრომში მიმოხილულია თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები და კვლევები. ნაშრომის მიზანია დაადგინოს რამდენად ახდენს გავლენას მშობლებთან კონტაქტი ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, კერძოდ შფოთვით მაჩვენებელზე და აკადემიური მიღწევის ხარისხზე. ბავშვების შფოთვის დონე გაიზომა სპილბერგერის თვითშეფასების კითხვარით. კითხვარის სპეციფიურობიდან გამომდინარე გამოკითხულ იქნა მცირე საოჯახო ტიპის სახლების 12-დან 17 წლამდე 40 ბენეფიციარი, ასევე შეფასდა მათი აკადემიური ნიშნები და მშობლის ვიზიტების სიხშირე (სამი დონით: იშვიათი, საშუალო და ხშირი). კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მშობლის ვიზიტების სიხშირე არ ახდენს გავლენას ამ სახლებში განთავსებული აღსაზრდელების შფოთვით მაჩვენებელზე და მშობლების იშვიათი ვიზიტები არ არის განმსაზღვრელი მათი დაბალი აკადემიური მოსწრებისა. შედეგებით დასტურდება, რომ დაბალი აკადემიური მაჩვენებელი არ არის განპირობებული კონკრეტულად მშობლის ვიზიტების სიხშირით, აქედან გამომდინარე სამომავლო კვლევებში აქცენტები შესაძლოა სხვა მიმართულებით გაკეთდეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მცირე საოჯახო ტიპის სახლი, შფოთვა, მშობლის ვიზიტების სიხშირე, მშობელი, ოჯახი, მოზარდი, აკადემიური მოსწრება.

Abstract

Psychosocial development plays an important role in children's growth. During this period children develop their abilities, introduce novelty which are connected with some difficulties. Those difficulties are also associated with puberty period, which itself influences on indicators of anxiety, the quality of academic performance and on different important factors.

This Master thesis corresponds the theme how the anxiety and academic performance of children are effected by quantity of parents visits, according the examples of different family type children's houses in Tbilisi. The scientific articles, researches and the results are overviewed in the thesis.

The purpose of the thesis is to determine the influence on children's psychoemotional condition, in particular, indicators of anxiety and academic performance after the contact with their parents. The children's anxiety level was measured by Spielberger's self assessment questionnaire. Due to the specificity of the questionnaire 40 beneficiaries from 12 to 17 years were interviewed in family type houses, also, they were evaluated to academic signs and the frequency of parents visits (three levels: infrequent, medium and frequent). The results of the research showed that the frequency of parents visits has no effect on the anxiety level of youths living in those houses, also, rare visits of parents do not define their low academic performance.

According to the general picture, it is confirmed by results that the particular cause is not the frequency of parents visits, therefore the accents can be made in other directions in future research.

Keywords: Little family type houses, anxiety, the frequency of parents visits, parent, family, youth, academic performance.